როგორი საინვესტიციო გარემოა საქართველოში?

ლამარა ქოქიაური

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პროფესორი

განვითარების არსებული ტენდენციების პირობებში ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები მეტად საეჭვოა. ვითარების შეცვლა შეუძლია მხოლოდ საინვესტიციო აქტივების მკვეთრად ამაღლებას კერძო ინვესტიციების ბაზარზე, რისთვისაც აუცილებელია საინვესტიციო გარემოს რადიკალურად გაუმჯობესება. თუმცა, აღნიშნული ნეგატიური მხარეების მოსახსნელად საჭიროა ჩავატაროთ მათი წინასწარი ანალიზი. მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკაში საინვესტიციო საქმიანობის ჩახშობის მიზეზების გამოვლენა შეიძლება გახდეს მათი აღმოფხვრის შესაძლებლობათა ძიების კონსტრუქციული საფუძველი, რაც განსაზღვრავს კიდეც ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბების მიმართულებებს.

არახელსაყრელ საინვესტიციო გარემოს, რომელიც ჩვენი ქვეყნის კვლავწარმოებით თავისებურებებს უკავშირდებოდა, ახასიათებდა:

❖ **საინვესტიციო პროცესის სარესურსო პოტენციალის გაღარიბება, რაც გამოიწვია საწარმოთა დაბალმა შემოსავლიანობამ, მოსახლეობის დანაზოგების სიმწირემ და ინვესტიციებად მათმა არასრულად გარდაქმნამ;**

❖ **ინვესტირების სარესურსო წყაროებზე მოთხოვნილებების მატება ძვირადღირებულ რესურსდამზოგავ ტექნოლოგიებზე გადასვლასთან დაკავშირებით, რაც არსებითად ამაღლებდა ავანსირებული კაპიტალის სიდიდის ნიშნულს.**

❖ **ეკონომიკური ზრდის დეფორმაციები, რომლებიც ხელს უშლიდნენ კაპიტალის შემოდინებას, ბარიერებს უქმნიდნენ მათ შემოსვლას წარმოებაში (წარმოების მაღალი მონოპოლიზაცია, კრიმინალური ძალების აქტიურობა, ჯერ კიდევ მაღალი ინფლაცია, რომელიც ამცირებს გრძელვადიანი დაბანდებების მომგებიანობას);**

❖ **საბაზრო მეურნეობის არასაკმარისად განვითარება, რომელსაც არ შესწევს მყიდველის ბაზარზე გადასვლის უნარი;**

❖ **ეკონომიკური დაქვეითების სტადიაში ხანგრძლივად ყოფნა, რომელიც ყველაზე უფრო არახელსაყრელი პერიოდია ინვესტიციებისთვის. კომერციული კრედიტი მიუწვდომელი გახადა საბრუნავი სახსრების შესავსებად, რაც არგადახდების კრიზისში გამოვლინდა.**

საინვესტიციო პროცესი რეალობად შეიძლება იქცეს მოსახლეობის დანაზოგების არსებობის პირობებში (მათი სიდიდე საკმარისი უნდა იყოს კაპიტალდაბანდებათა განხორციელებისთვის). ეს იმას ნიშნავს, რომ კვლავწარმოებითი პროცესი მიმდინარე მოთხოვნილებაზე მეტი შემოსავლების უზრუნველყოფის საშუალებას იძლევა, რის საფუძველზეც ჩნდება მოსახლეობაში დანაზოგების ფორმირების შესაძლებლობა. შემდეგ ეს დანაზოგები აკუმულირდება კომერციული ბანკების მიერ, მოხვდება ფასიანი ქაღალდების ბაზარზე და საბოლოოდ ინვესტიციებად ტრანსფორმირდება.

ეკონომიკის რეფორმირების დასაწყისი დაუკავშირდა ფასების ლიბერალიზაციის პროცესს, რომელმაც ძალიან მოკლე ვადაში გააუფასურა მოსახლეობის ფულადი აქტივები. ეროვნული ვალუტის მსყიდველობითუნარიანობა ისე მკვეთრად დაეცა, რომ მოსახლეობის ფულადი დანაზოგები ფაქტიურად გაქრა. ამას იმ გარემოებამაც შეუწყო ხელი, რომ მოსახლეობას, რომელიც შემნახველ სალაროში ინახავდა თავის დანაზოგს, წაერთვა მყარ ვალუტად ან სასაქონლო ფასეულობებად თავისი ფულის გადაქცევის შესაძლებლობა, რათა ინფლაციისგან დაეცვა საკუთარი აქტივები. ამის მიზეზი იყო ხელისუფლების საგანგებო ფულადი პოლიტიკის რეჟიმი, რომელმაც გამოაცხადა, რომ მოსახლეობის ანაბრები უნდა გაყინულიყო.

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, მოსახლეობის დანაზოგებმა 2000-იანი წლების ბოლოს მშპ-ის 15% შეადგინა, თუმცა ექსპერტთა დასკვნით, ეს მაჩვენებელი ფაქტობრივად 3-ჯერ ნაკლები იყო, რაც ცხადია, ძალზედ მცირეა მნიშვნელოვანი ინვესტირებისთვის.

ქვეყნის ეკონომიკის უბედურება იყო არამარტო დანაზოგების უკმარისობა, არამედ მათი გამოყენების უკიდურესად არაეფექტიანობა. ამჟამად დანაზოგების მოცულობის მხოლოდ 14% შეგვიძლია განვიხილოთ საინვესტიციო პოტენციალად.

არადა, დანაზოგების უკმარისობა ამცირებს კომერციული ბანკების საკრედიტო შესაძლებლობასაც, რადგანაც ფულის ბაზარზე არსებული მიწოდება არ შეიძლება სისხლსავსე იყოს. ამის გამო ქვეყანას დაკრედიტების ძალიან უმნიშვნელო მოცულობა აქვს. მისი სიდიდე მშპ-ის 10%-ზე ნაკლებია. მაშინ, როდესაც განვითარებულ ქვეყნებში ეს თანაფარდობა 100%-ს აღწევს.

უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ მხოლოდ დაზოგვის პროცესი არ იყო ინვესტიციებისთვის საჭირო ფინანსური პოტენცია-

ლის შემაფერხებელი ფაქტორი. მეტისმეტად მკაცრი აღმოჩნდა წინათ დაბანდებული ინვესტიციების დაცვა-შენახვისთვის საამორტიზაციო სახსრების გამოყენებაში შექმნილი შეზღუდვები. ეს იმას უკავშირდება, რომ კაპიტალურ დაბანდებათა ცენტრალიზებული დაფინანსების შეწყვეტამ ავტომატურად გამოაცალა საწარმოს წინა წლებში დაგროვილი საამორტიზაციო ფონდები, რადგან მათი საამორტიზაციო სახსრების დიდი ნაწილი (დაახლოებით 70%) ცენტრალიზებულ საჭიროებებზე გაიხარჯა.

ერთი სიტყვით, საქართველო აღმოჩნდა ფინანსური შიმშილის მდგომარეობაში, რაც საინვესტიციო პროცესის შესაძლებლობათა ხელის შემშლელია. ამასთან, სარესურსო პოტენციალის მიმართ მოთხოვნები დღეს მკვეთრად მატულობს.

რა თავისებურებები ახასიათებს საინვესტიციო კრიზისს საქართველოში? ახალ, ინდუსტრიულ მოდელზე გადასვლის დროს ინვესტიციებისათვის წაყენებული მოთხოვნები მეურნეობრიობის შემდეგმა თავისებურებებმა ჩამოაყალიბა:

პირველი. დღევანდელ პირობებში წარმოების გაფართოებას არ შეუძლია და არც უნდა ახდენდეს მიღწეულ საწარმოო-ტექნიკური პოტენციალის დონისა და ხარისხის ტირაჟირებას, რადგანაც ექსტენსიური განვითარების პოტენციის ამოწურვის პირობებში იგი არარენტაბელურს ხდის წარმოებას.

ახალი ტექნოლოგიური პროცესების ათვისება ყოველთვის შეიცავს საწარმოო რისკებს და კომერციული მდგრადობის უზრუნველყოფის სირთულეებს უკავშირდება. ეს გარემოებაც სერიოზულად ართულებს საზოგადოების საინვესტიციო აქტივობას.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ახალ საფეხურზე ჩვენი ქვეყნის გადასვლის თავისებურება წარმოების ტექნოლოგიურ სისტემის შეცვლის აუცილებლობაში მდგომარეობს.

ტექნოლოგიების შეცვლის აუცილებლობის პირობებში ინვესტირების პროცესისადმი წაყენებული მაღალი მოთხოვნები მოკლე ვადებში ძნელად შესასრულებელს ხდის მას, რადგანაც ასეთი სერიოზული ამოცანის შესასრულებლად მნიშვნელოვანი დაგროვებაა საჭირო, მით უმეტეს, რომ ტექნიკურ პროგრესს დღეს მაღალი კაპიტალტევადობა ახასიათებს.

მეორე, საქართველოს ეკონომიკა საწარმოო სტრუქტურის კონსერვატიზმს გვიჩვენებს. ტექნოლოგიური და ორგანიზაციული გარდაქმნის დრო ჯერ კიდევ არ დამდგარა. ამ არასასურველი მოვლენის მიზეზი მნიშვნელოვანწილად დევს ჩვენი საწარმოო აპარატის არსებულ სტრუქტურაში, რომელსაც კომუნისტური წყობის დროიდან ინერციით მსხვილ საწარმოო სტრუქტურებზე ჰქონდა გეზი აღებული და ეყრდნობოდა კიდეც მას. ექსპერტებს მიაჩნდათ, რომ მსხვილ წარმოებას უპირობო უპირატესობა აქვს წვრილი წარმოების მიმართ. ამიტომ იგი უფრო პერსპექტიულია და ქვეყნის განვითარებაც მან უნდა განსაზღვროს. როგორც ცხოვრებამ აჩვენა, ასეთი ხედვა ცალმხრივი აღმოჩნდა. განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში კი, მსხვილ საწარმოებთან ერთად, წარმატებით ვითარდებოდა საშუალო და წვრილი საწარმოები. მათ წილად განვითარებული მრეწველობის ქვეყნებში ეროვნული პროდუქციის თითქმის ნახევარი და სამუშაო ადგილების მნიშვნელოვანი წილი მოდის. მცირე და საშუალო ბიზნესის ასეთმა მაღალმა ხვედრითმა წილმა გამოიწვია გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოება, დაასაქმა მოსახლეობა, ჩამოაყალიბა დამატებითი მოთხოვნა, ამით კი შექმნა მიწოდების ზრდის მოტივები.

ქვეყანაში სწორედ მეურნეობრიობის მცირე ფორმების არასაკმარისად განვითარებამ განაპირობა საწარმოო სტრუქტურის შეუგუებლობა გარდაქმნებთან. საინვესტიციო პროცესში აქტიურად ჩასართველად თავისდროულად უნდა გადაწყდეს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პრობლემები.

მესამე, ქვეყნის ძირითადი საწარმოო ფონდების განახლება საკმარისად სწრაფად არ ხდებოდა და 2006 წლისათვის მათი მომსახურების საშუალი ფაქტიურმა ვადებმა 25-26 წელი შეადგინა. ბოლო პერიოდში ვითარება არსებითად არ შეცვლილა, რადგანაც კრიზისი კვლავ გრძელდებოდა. ამის შედეგია ის, რომ მსოფლიო ბაზარზე საქართველო გამოდის როგორც ნედლეულის გამყიდველი და სხვა დანარჩენის მყიდველი. მრეწველობის ყველა სექტორი პრაქტიკულად კონკურენტუუნაროა. ეს იმას ნიშნავს, რომ ინვესტირების პროცესი მოითხოვს აქტიურ საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობას, რომელიც ინვესტიციური საქონლისა და ჩვენს ქვეყანას ახალი ტექნოლოგიების მსოფლიო ბაზრებს გაუხსნის.

ამასთან საგულისხმოა ისიც, რომ ლარის კურსის შენარჩუნების დროს ქვეყანაში წარმოების მხარდაჭერა გულისხმობდა ისეთ პროტექციონისტულ ზომებს, რომლებიც იმპორტზე მაღალი ბაჟის დაწესებას უკავშირდებოდა. ეს პროცესი გააძლიერებდა მსოფლიო ბაზრისგან ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის იზოლაციას და არსებითად შეასუსტებდა ახალი დასავლური ტექნოლოგიების დანერგვის პოტენციალს ძირითადი ფონდების განახლებაში. ამას საინვესტიციო პროცესის ეფექტიანობის დონის შემცირება მოჰყვებოდა შედეგად.

რა დაგვიტოვა ეკონომიკურმა კრიზისმა. კრიზისს თავისი მექანიზმები გააჩნია, რომლებიც პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბების პროცესს. მასობრივი გაკოტრება ჯანსაღი საწარმოების რყევასაც კი იწვევს, რადგანაც მათ მრავალ პარტნიორს აღარ შეუძლიათ მიწოდების ანგარიშების განაღდება. ამიტომ, ამ პერიოდში მატულობს კომერციული რისკები, რაც საქმიანი აქტივობის დაქვეითებას იწვევს.

დაქვეითების დროს საწარმოები დიდ ზარალს განიცდიდნენ. ამის გამო ისინი მოკლებული რჩებიან ინვესტიციებისთვის საჭირო დაგროვების წყაროებს, გარდა ამისა,

საბაზრო კონიუნქტურის გაუარესების მოლოდინი იმ შემთხვევაშიც კი აქრობს ინვესტირების სტიმულებს, როცა ფინანსური რესურსები საკმარისია საამისოდ. რეალიზაციის სიძნელეები და სამეურნეო პარტნიორების არასტაბილური მდგომარეობა წარმოების შემცირებასა და, შესაბამისად, მისგან მიღებული შემოსავლების კლებას იწვევს. ჩნდება იმის საფრთხე, რომ ვერ მოხერხდება ადრე დაბანდებული სახსრების გამოსყიდვა. ამიტომ, საინვესტიციო პროცესი წყდება და საწარმოები ეწევიან **„წყალქვეშა ნავის“** ტაქტიკას, ე.ი. უკეთეს დროს ელოდებიან თავიანთი საქმიანობის გასააქტიურებლად.

როდესაც კრიზისი ხორციელდება ფასების დაცემის დროს, მას თან ახლავს მასობრივი გაკოტრება იმავდროულად სამეწარმეო შემოსავლების შეკვეცის გამო. ამ შემთხვევაში კრიზისის გამაჯანსაღებელი ფუნქცია ძალიან აქტიურად მოქმედებს და არაეფექტიანი წარმოებისგან წმენდს ეკონომიკას. მაგრამ, თუ კრიზისს თან ახლავს ფასების მატება და ინფლაცია, მაშინ იგი ჭიანურდება. მზარდი ფასები იმის შესაძლებლობას აძლევს არაეფექტიან მწარმოებლებს, რომ რაღაც დროით მოახერხონ გადიდებული ხარჯების კომპენსირება. ისინი გაღატაკების საფრთხის ქვეშ ექცევიან, მაგრამ გაკოტრებულთა რიცხვში არ ხვდებიან.

აღნიშნული პროცესები წამგებიანს ხდის წარმოებას, საშუამავლო საქმიანობაში გადაჰყავს ბიზნესი. მართლაც, სპეკულაციურ კაპიტალს ბრუნვის უფრო მოკლე ციკლი აქვს და გაუფასურების ნაკლები რისკი ემუქრება. ასეთი ვითარება იწვევს წარმოების ურყევ სტაგნაციას, რადგანაც წარმოებას არამარტო სრულყოფა, არამედ მარტივი კვლავწარმოების განხორციელებაც კი არ შეუძლია. ასეთ პირობებში ძალას იკრებს საინვესტიციო საქმიანობის მძლავრი და აქტიური ანტისტიმულები.

საწარმოები, რომლებიც არგადახდათა კრიზისში იძირებიან, ფიზიკურად არ შეუძლიათ ინვესტორის როლის თამაში, რადგანაც მათი რეალური მდგომარეობა სტრატეგიული საკითხების გადაწყვეტის განწყობილებას არ აყალიბებს. მათი ინტერესები შემოფარგლულია იმ მიმდინარე ხარჯების უზრუნველყოფის პრობლემებით, რომლებიც მარტივ კვლავწარმოებასა და საწარმოს გაჩერების აცდენას უკავშირდება.

ამგვარად, ბაზარზე გადასვლა საბოლოო ჯამში ნაკარნახევია სახელმწიფო სოციალიზმის იმ შესაძლებლობების ამოწურვით, რომლებიც ეკონომიკის სათანადო შემოსავლიანობას და მეურნეობრიობის ყველა დონეზე საინვესტიციო მექანიზმის ეფექტიანობას უზრუნველყოფდა. თუმცა, ბაზრისკენ პირველი ნაბიჯების გადადგმა ეკონომიკური დაქვეითების ფონზე ხდებოდა, როდესაც, ზემოაღნიშნული ნეგატიური პროცესები სულ უფრო ღრმავდებოდა. ზომიერი გაანგარიშებების თანახმად, 2000-იანი წლების დასაწყისითვის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის 1/3-ის პროდუქცია იყო, რომელსაც მყიდველი არ ჰყავდა.[1] არსებობს აზრი, რომ ეს სიდიდე ქვეყნის მშპ-ის ნახევარზე მეტს აღწევდა.[2] ჭარბი წარმოების მოშორებით გამოწვეული დაქვეითების სიღრმე დაგროვილი დისპროპორციებით იყო განპირობებული.

თუმცა ბოლო სტატისტიკური მონაცემები არაერთგვაროვან სიგნალებს გვაძლევს. 2007 წელს ძირითად კაპიტალში მხოლოდ 311 მილიონი ლარის ინვესტიცია განხორციელდა, რაც საქართველოში დაბანდებული მთელი ინვესტიციების 6 პროცენტს შეადგენს და ეს მაშინ, როდესაც მრეწველობის სექტორში რამდენიმე მსხვილი პირდაპირი ინვესტიცია შემოვიდა. ინვესტიციათა ძირითადი ნაწილი ადგილობრივ ბაზართან დაკავშირებულ საქმიანობებში ჩაიდო (არავაჭრობადი საქონელი და მომსახურება). მათი 29 პროცენტი კერძო სახლებზე, მშენებლობასა და უძრავ ქონებაზე მოდიოდა, 24 პროცენტი – ტრანსპორტსა და კომუნიკაციებზე.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ინვესტიციების ზრდამ მრეწველობაში 2007 წელს წინა წელთან შედარებით, ნომინალურ გამოსახულებაში 50 პროცენტი შეადგინა. მაგრამ, თუ მწარმოებელთა ფასების ინდექსის ზრდას გავითვალისწინებთ, აღნიშნული საინვესტიციო ნაკადების მოცულობა, მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული ბიზნეს-კლიმატის მიუხედავად, უფრო ნაკლები აღმოჩნდება, ვიდრე ამ ათწლეულის დასაწყისში იყო.[3]

იმისათვის, რომ საინვესტიციო პროცესი რეალობად იქცეს, საკმარისი არაა მისთვის ფართო გზის გახსნა. **აუცილებელია ძლიერი მოტივაციები, მესაკუთრეთა სურვილი ამ ძნელ გზაზე გასასვლელად. საინვესტიციო პროცესი გარდაუვალი ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისგან თავის არიდება არამარტო მაღალი შემოსავლების დაკარგვის, არამედ ბაზრიდან საწარმოს გამოდევნის საფრთხეს ბადებს**.

ასეთი ვითარება შესაძლებელია მაშინ, თუკი ეკონომიკამ განახორციელა კონკურენცია – გამყიდველის ბაზრიდან მყიდველის ბაზარზე. თუმცა, ჩვენთან ასეთი ბაზარი ჯერ კიდევ სრული სახით არ არსებობს. **ჩვენს ბაზარზე ძლიერია მონოპოლიური ძალები, რომლებიც ხელს უშლიან კაპიტალის მოდინებას, აბრკოლებენ დარგში შესვლას**.

გარდა ამისა, ჯერ კიდევ არაა მიღწეული საქონლით გაჯერების ისეთი დონე, რომლის დროსაც გამყიდველები ერთმანეთს ებრძვიან მომხმარებლის ხელში ჩასაგდებად, მისი მოთხოვნილებების უკეთ დასაკმაყოფილებლად (გამონაკლისია საბანკო ბაზარი).

თვით საწარმოებში სამეცნიერო-ტექნიკური და საინვესტიციო პროცესების გარდაუვალი მოქმედე-

1 **„Реформа без шока. Выбор социфльно приемлемых решений“ М. „За экономическую грамотность“, 1995 г., с. 55.**

2 **იქვე. გვ. 22**

3 **კორდონიე კრისტოფ. საქართველოს მრეწველობის დაფინანსება//საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები. კვარტალური მიმოხილვა. 2008, აპრილი, გვ. 76**

ბისათვის საკმარისი არაა ბაზარზე გადასვლის განხორციელება. ჩვენი მოსაზრებით, საჭიროა მისი მიყვანა განვითარების მომდევნო საფეხურამდე, რომელიც კონკურენტული ბაზრის გაჩენას მოასწავებს. აქ კონკურენციაა არა მომხმარებლებს შორის – შეძენის უფლებისათვის – არამედ მწარმოებლებს შორის – თავიანთი საქონლის გაყიდვაში უპირატესობის მოპოვებისათვის. კონკურენტულ ბაზარზე ის მწარმოებლები ახერხებენ გადარჩენას, რომლებსაც უფრო ხარისხიანი საქონელი გამოაქვთ, ან ისეთ სიახლეს სთავაზობენ მომხმარებლს, რომელთა ანალოგი ჯერ კიდევ არა აქვთ მათ კონკურენტებს. მყიდველის ბაზარი ბადებს ხარისხისა და წარმოებაში ნოვაციის კონკურენციას, ხდება გამოშვებული საქონლის განახლებისა და ასორტიმენტის გაფართოების წყარო. ასეთი ბაზარი იმ შემთხვევაში იფუნქციონირებს, თუკი წარმოების მიერ განხორციელებული მიწოდების სიდიდე გადააჭარბებს მოთხოვნას. მხოლოდ ამ შემთხვევაში განახორციელებს მომხმარებელი ისეთ არჩევანს, რომელიც უფრო მაღალი ხარისხის პროდუქციაზეა ორიენტირებული.

და კიდევ, სახელმწიფომ კი არ უნდა შეიცვალოს ბაზარი, არამედ ხელსაყრელი პირობები შეუქმნას მის ფუნქციონირებას და ე.წ. ეფექტიან კონკურენტულ ბაზარზე გადასვლას. ამ მიმართულებით ძალისხმევის თანმიმდევრულობა ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოსათვის იქნებოდა დამახასიათებელი. აქტიური მასტაბილიზებელი პოლიტიკის გასატარებლად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, გამოვიმუშაოთ კონცეპტუალური მიდგომა ამ პრობლემების მიმართ. იგი უნდა კონკრეტდებოდეს ქვეყნის ეკონომიკაში ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების განხორციელების სტიმულირების კომპლექსურ პროგრამასა და მთავრობის საშუალოვადიანი პროგრამის კონცეფციაში.

ANNOTATION

PECULIARITIES OF INVESTMENTS IN GEORGIA

Lamara kokiauri

Any investment process is directed to satisfy the dements, the realization ability for such demands society already has, under the conditions of productive forces. Our country has already sensed the reducing of industrial efficiency in the 90th years of the last century that has been deepened from year to year. The demand on the activation of investment process has been formed also by the national economical disproportion that was revealed in unbalancing of economy, inconsistency between monetary and natural flows.

The unfavorable investment environment that has been connected to the reproduction peculiarities of our country was characterized by the following;

Depletion of resource potential of investment process, caused by the low industrial profitability, the small savings of population and their incomplete transformation into investments;

The increasing of demands on the sources of investment resources, connected with the transition to the expensive resource-saving technologies, that essentially higher the marked value of advanced capital.

The deformations of economical growth, that prevent capital inflow, hamper to their entering into the industry. The high monopolization of industry activation of criminals, still high level of inflation, that reduces profitability of long term contributions belongs to them;

Insufficiently developed of market economy that isn't able to wholly provide the transition on market economy of purchasers;

-The unfavorable investment climate has been worsened by the ongoing realization of subjects and objects of investment market that has been revealed in that:

- Privatization couldn't form the efficient proprietors, that are the initiators of investment process;

- The nonmarket mentality of director corps has been established, that hopes that state would cover the industry debts and are oriented on the application of short term factor of development;

It is insufficient to open wide road for the realization of investment process. Strong motivations are necessary, desires of proprietors to pass such hard way. The investment process will be become inevitable only in case if desist from it form the danger of loosing of high incomes but the withdrawing from the market. Such circumstance is possible only when if economy has been realized on competitive market, but there doesn't exist of any market yet in Georgia in complete type. In our market monopoly forces are strong, they prevent capital inflow, drag entering into branch. Besides such level of saturation by goods, when buyers between each other for customers, to better satisfy their needs (exception banking market).

The active regulating forces in type of state and banks have to take action, that are obliged to recognize the objective demands of general economical equilibrium of state and help out the of crisis situation.

The state doesn't change market but would create favorable conditions for its functioning and market. The consistency of efforts in this direction would be characterized for the economically strong state. In our situation the government tried to keep equilibrium among groups of coalition with different ascendancy, for this reason government sometime obeyed to considerations of country or row material lobs.